

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. კოდექსის 172⁵ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 172⁵. სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შემოსული მელოგინის, მისი გაპარვის ან მელოგონის მიერ ჩვილის მიტოვების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა

სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შემოსული მელოგინის, მისი გაპარვის ან მელოგონის მიერ ჩვილის მიტოვების შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობა, -

გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹ და 42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე-44³, 44⁵, 44⁶, 45-ე-56-ე, 57-ე-69-ე, 71-ე-78-ე, 79¹-82¹, 84-ე-86-ე, 88-ე-89³, 90-ე-91², 92², 94-ე-100², 103-ე-105¹, 105⁴, 128¹, 128², 143-ე-144¹, 144³-144⁵, 145-ე, 146¹, 148-ე-152-ე, 152²-154², 155¹-156-ე, 157¹-158¹, 159-ე-159⁹, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171¹, 172⁴, 172⁵, 173⁴, 173⁶, 173⁷, 173⁹, 173¹⁰, 173¹¹, 174¹, 174⁵, 174⁸-174¹⁴, 175¹, 177⁸-178-ე, 179¹-183-ე, 187-ე-187², 189-ე, 191-ე (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196²-196⁶, 197¹ მუხლებით.“.

3. 239-ე მუხლის:

ა) 22-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. ამ კოდექსის 179² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.“;

ბ) ბოლოში დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-60 ნაწილი:

„60. ამ კოდექსის 172⁴, 172⁵, 173⁶, 173⁷, 173⁹ და 175¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.